# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1152

დამატების № 203

კვირა, 30 მარტი 1914 წ.




იუდა.—სურათი პრელისა.

## ზღვის პირს

I

ტალღათ ფაფარზე გამოზრდილი ვარ,
არ ვარ ჩვეული მე მოსვენებას,
ნაპერწკალი ვარ მედგარ-მეხისა,
მათ უმღეროდი ქებათა-ქებას.
ან-კი სად ვპოვო მე მოსვენება,
ვიდრე სიცოცხლის ძაფი შესწყდება,
ან-კი ვით დასცხრეს მკერდის ქვეშ გული,
ვით დასცხრეს სული ამხედრებული!

II

აბა, მიჩვენეთ ისეთი მხარე,
სად სურვილს ფრთები არ ეკვეცოდეს,
და სულს მოლაღეს, და სულს მოშმაგეს
არ სჯიდნენ როგორც დემონს—შემცოდეს.
არა, ვერ ვნახო მე იგი ვერსად,
და ისე მოვკვდე, ვერ მოვისვენო,
მოვკვდე, მაგრამ კვლავ ავყვე ქარიშხალს,
მასთან ვგმინავდე უსიტყვ—უენო!

III

მანამდისინ-კი დავდივარ ქვეყნად
და სამშობლოში ვეძებ სამშობლოს,
მინდა მეც ჩემი ღმერთი რომ მყვანდეს,
მინდა რომ გული არ დაობლოს.
ეს ლურჯი ცა ხომ კოლხიდისაა!
სხვაგან სად ჰკოცნის თოვლი ყვავილებს?!
მაგრამ მიჩვენეთ თვითონ კოლხეთი,
ან შემახვედრეთ კოლხეთის შვილებს!
პასუხად თავზე ყორნების გუნდმა
ყიალ-ჩხავილით გადამიარა,
მას თვის კლანჭებში, როგორც რომ ლეში,
ეჭირა ქართვლის ძველი იარა...

IV

პონტოსის ზღვის პირს გავყე ნელ-ნელა,
შემხვდა რამ კოშკი ცას ამართული,
მას ქართვლის სისხლი გარს შეჰხმობოდა,
არ-კი ისმოდა ირგვლივ ქართული!
და ზღვას მივმართე, მივმართე ტალღებს,
მოლოდინი გული მათ მიუბრუნდა:
—ხომ არ გინახავთ ჩემი სამშობლო?
„როგორ არაო, ჰყიდდა იუდა!“

V

გედი ლამაზი ტბას მოსცურავდა,
გედი ყარყარა ფრთებსა სწურავდა,
გედი ლამაზი სევდას მღეროდა,
ალბად ჩემსავით სიკვდილს ელოდდა.
იმასაც ვკითხე... უამბე კიდეც...
უთხარ რომ ერთხელ მეც მყვანდა გედი...
და მიპასუხა: „მას წყნარი ტბა ჰსურს,
შენ-კი ზვირთებში მხოლოდ დაჰბერდი“
—ახ, გედო, გედო, რა მებრალები,
უკანასკნელად ვმღერით მე და შენ,
მე ჩემს ლამაზ გედს ველარა ვნახავ,—
შენც ამ ლამაზ ტბას ველარ დაამშვენ!
მართალსაც ამბობ... ანგელოზთ ლოცვა
ჩემს გულს აროდეს მოჰკარებია,
თუ სიყვარული მოსვენებაა,
მაშ, მეც აროდეს არ მყვარებია!

VI

და კვლავ ზღვის ზვირთებს შევეხმაურე:
—თქვენ გადმოგიგდებთ კუბოს ჩანგისას,
თქვენ ერთად-ერთი იცნობთ მეგობარს,
იცნობთ თავისათ სულს მეგობრისას.
და წაიღეთ ის, ატარეთ ვიდრე
ცრემლად დიოდეს ღრუბელი ცისა,
ვიდრე არ შესწყდეს უკუნისამდე
სულთქმა, სიცოცხლე დედა-მიწისა!

ქ. სოხუმი.

ი. ევდოშვილი.

## ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების დამფუძ



დიმიტრი ყიფიანი.



ილია ჭავჭავაძე.



იაკობ გოგებაშვილი.



ნიკოლოზ ცხვედაძე.

# არსებობის 35 წლის შესრულების გამო

## ნებელნი



გ. ღოღობერიძე



ვ. თულაშვილი



ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-
დოების მთავარი გამგეობის თავმჯდომარე
**გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი.**

## სტრიქონები

დილაა მზე ჰქარგავს სხვი მკვეთრი,
ყვავილს ჩიქილა ნამისა,
საღამოს ვარსკვლავთ გვირგვინი,
მთვარეც ჰრაქია ღამისა,—
მათ თვალწინ ბურთი ტრიალებს,
გამოუცნობი ჟამისა;
და მის ნაკვლევზე იშვება
სიცოცხლე—ლანდი წამისა!..
მის აზრი მისდევს დროთ გრიგალს,
მაძებარია ხვალისა—
ხოლო გზას ცრემლი უქარგავს,
ჩამონაწვეთი თვალისა.

*
* *

ველს გაზაფხულის ალერსი,
მკერდს შეუთრთოლებს მწვანესა,
ვარდს გაჰხლეჩს ვნების ღიმილი
ძოწის ფრად მოღაღანესა;

და საამიკოდ თვის სატრფოს
ბულბული თუ ვერ მოუსწრობს,—
წალკოტს კვლავ ჰმუნვა ეწვევა
და შემოდგომა დააზრობს...

—

სიკვდილიც ბედის წერისა
რაყიფად მოარულია;
და თუ გულს ტრფობა არ ათბობს
სიცოცხლე დაკარგულია!..

**ს. ფაშალიშვილი.**

# ალერსი

თავს შემოგევლე, სამშობლოვ,
კვნესა მოგპარე სნეულსა;
გეწამლე ჭირისუფალი
უბედოს ბედით ძლეულსა...

*
* *

სულისა სიმებს მიკვნესებს,
შენი ტკივილი გულისა;
ცისკრის სხივია, ლამაზო,
ცრემლები სიყვარულისა!

**კიკნა-ფშაველი.**

*
* *

სალამოს ჟამს სიომ წყნარად
მთრთოლვარე კორდს ჩაურბინა,
კლდეს შეჰკივლა საგულისხმოდ
მწუხრის ქნარი აუგმინა,
მთაზე მიჯდა მოწყენილი,
ჩანჩქერს მღერა ჩაუწვდინა,
მაგრამ ვერსად მისმა ვნებამ
სამშვიდობო ვერ სცნა ბინა.

შორს გახედა და ქვეყანა
მრავალ სახით რომ იხილა—
ძირს ჩაქანდა, განეშორა,
რომ გრძნობათ ფრთა არ ერთვილა.

—

ტყეს მიმართა, სიმთ ჩამოჰკრა,
მრავალ ხმებათ ააჟღერა,
ღაღადი ჰყო თვის ქნარის წინ
და ძიება ლექსად შეჰქმნა.

—

შემდეგ ფიქრით მოქანცულმა
ტყის ნაპირი წყნარად განვლო,
კორდს გახედა და უეცრად
ყვავილს თვალი რომ მოავლო,
ჯერ კი შეკრთა განცვიფრებით
და შემდეგ კი თავს მოევლო.
თან მიმართა სასოებით:
მითხარ ტურფავ, უცხო, ტკბილო,
სხვა გვარ შვება სად ვიხილო,
საიდუმლო თუ რამ იცი,
მითხარი, არ გამაწბილო;
მითხარ უცებ მაგ მშვენებამ
სევდა ჩემი რით გამიკრთო,
რა ძალით ხარ ეგრე მშვიდი,
მითხარ, მეც რომ ბრძნად ალვიგზნო!

—

თითქოს შეკრთა წამს ყვავილი,
ნაზად თავი ძირს დახარა,
და ციმციმით სამკაული
შერხეულმა ძირს დაღვარა.

**უპასუხა:**

რასა მკითხავ, რაც მცირე მჭირს
თვით შენ იცი, რის თქმაც მიჭირს,
და თუ ძლევით მოსილი ხარ—
დამცირება არარად ღირს;
თუ არა და თვით შენ იცი,
რით ვიმედობ ეს უვიცი,
როცა ყველა სულ სხვისაა
და რა ჩემი—არა ვიცი:
სულის დგმა რომ მზით მებოძვის,
და სინაზე ლაჟვარდ ზეცის,
სამკაული მიწისაა,
მე კი რა მაქვს გლახას და მწირს?
ამ ცხოვრების ერთი წუთიც
არ მეკუთვნის არასოდეს,
და ვერც სიკვდილს გავიხვალებ
გინდ სული მწარ მიყიოდეს.

რაღა დამრჩა?—მწარე გრძობა
და გონება ისე მხდალი,
რომ „არყოფნა“ მწერებოდა,
არ დამწვავდა ცეცხლის ალი.

—

მაშ დამეხსენ, ნუ მეხვევი,
ნურც ცრემლს მიშრობ ამბორითა,
მინდა ეს დღე ამოობის
სევდით მოვსპო და ბოლმითა.

—

ყვავილი სტირს, თავს ძირსა ხრის,
სევდით გულს ჰკლავს, დღეს ისწრაფის,
ნიავი კი შორს, კლდე-ღრეზე
სიბრძნეს უხმობს, დღესაც დაძრწის.

**ცქვიტი.**




ამ ტანისამოსმა „ახალი კლუბის“ უკანასკნელ მასკარადზე პირველი ჯილდო მიიღო.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი** გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**